დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

ტფილისში ბრ. ბ. ქუთაისის ხიდ. ... ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თელავში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გეორგიის) წიგნის მაღაზიაში. კერძო პირებისთვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

ერთ წლის . . . 9 მან. | ხუთის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ერთ ხაზზე 1 კაპ., ერთ-ორ-სამ-ოთხ-ხაზზე ნახევარი კაპ., ნაკლებ-ნაკლებ ... ზე 8 კაპ.

თუ ხანგრძლივ-ხანგრძლივ, რედაქტორ-კერძოებ-ებ-ებ-

როდესაც საქმეზე ლაპარაკი გაითავეს, გახსნეს შამპანის ღვინო და თ. სოფიო წულუკიძისამ წარმოსთქვა გარემოების შესაფერი, ნაგრძნობი სიტყვა... რამდენიმე წამის შემდეგ კრება დაიშალა, დარჩნენ მხოლოდ თ.თ. მ. ლ—ძე, ს. წ—ძე, ბ. ნ. უ—ნი და თქვენი უმორჩილესი მონა თ. ს. წ—ძე ნათესაი პ. მ. მ—ძისა, ის-ის იყო წაიდა და ისევ მოირბინა და მოგვიტანა საზარელი ამბავი—„ღმერთი უწყრება მგონია ალმასხანი გელალატობსო!“ და მოჰყვა იმისთანა ამბებს, რომელიც მისის სიტყვით ნამდვილის წყაროებიდგან შეეტყო. მაგრამ ვერავინ ვერ გაბედა დაჯერება, თუმცა ელდა კი ყველას ეცა გულში....

ბათენდა დღე, როდესაც უნდა გამოჩენილიყო მეკენჭეთ ღირსება მოწაღმართე დასის კანდიდატის არჩევით, ანუ ზნე-დაცემულობა და მექრთამეობა მოუკულმართეთა კერპის ხელ-ახლავ იმავე ადგილზე დასკუპებით...

დილა ადრიანად ყოველ-წოდების კაცით და ქალით, მოხუცითა თუ ახალ-გაზდით აივსო ეზო და ახლო-მახლო ქუჩები. ფაეტონები ძლივს დადიან... ოერთმეტს საათზე საკუთარის ეტლით მობრძანდა ძველი მარშალი და მას უკან ფაეტონებით მოჰყობოდნენ მისი მეკენჭე ობერ-შტალმეისტრები... ხალხმა დაიწყო სტვენა... „ძირს!“ „ოავი დაგვანებე შე ო—რო!“ ბაისმის აქეთ-იქიდამ.

სანამ სხდომა გაიხსნებოდა საზოგადოებაში ათას-ნაირი ამბები ისმის ქუდურხანუმისაგან წუხელის ჩადენილ ჯადოქარობისა... ფულების დარიგება და სხვა ამ გვარი ხომ დიდი ხნიდამ მისი ხელობაა... ეს არავის უკვირს... აღელვებულნი არიან მხოლოდ უკვე მოხსენებულს საზიზღარ ამბავის გამო: ა. ნ—ძე გადაუყვანიათ (იგულისხმეთ რითი!) მისი მომხრეებითურთო, 30 კენჭს მარტო ეგ გვიკარგავსო... მაგრამ თვითონ გულს იმშვიდებენ: ასე როგორ გადასცილდება სინიდისის, ნამუსის და კაცობრიულს საზღვარს, რომ მაგ გვარი იუდასებრივი საქმის ჩადენა გაბედოსო...

ოერთმეტს საათზე გაიხსნა სხდომა და დაითხოვეს დარბაზიდამ ყველა უკენჭონი... ეს პირველია ამის ქმნა მას შემდეგ რაც იმერეთი წინამძღოლებს ირჩევს, და ამიტომაც ყველას ეუცხოვა და ეწყინა.

შეუდგნენ ვენჭის-ყრას სეკრეტრისას, რომლის დანამდებობაზე არ წამოუყენებიათ ცოტაც არის რიგიანი კანდიდატი და, რასაკვირველია, უნებლიეთად დასტოვეს იგივე! არაფერი იცის და არაფერსაც აკეთებსო, ისმოდა საყვედურები, რომელნიც მაშინვე მისწყდენ როგორც კი თვით გუბერნიის მარშლის კენჭის-ყრა დაიწყეს...

ამოუვიდა თ. ნესტორ დიმიტრისძეს (ზურაბის მოდგმა) წერეთელს 114 თეთრი კენჭი და 66 შავი.

ალმ. ნიჟარაძეს და 30-ოდე კაცს წინედ რომ ს. წ—სკენ იყვნენ, დღეს ნესტორისთვის თეთრი ჩაეგდოთ!...

მყის მოედო ეს ამბავი, როგორც იქვე მდგომს ხალხს, აგრეთვე მთელს დანარჩენ ქუთაისსაც.

მაგრამ ვიდრე იუდას ღალატი თვალით ჯერ არავის დაენახა, ამიტომც თამამად შეუდგა მოწაღმართე დასი თავის კანდიდატის კენჭის-ყრას... პირველად თ. ნესტ. წ—ს უნდა ჩაეგდო ამისთვის კენჭი და ჩაუგდო კიდეც, მაგრამ...შავში, მაშინ, როდესაც რამდენიმე წამის წინედ თვითონ ახდილად ჩაგდებული თეთრი მიიღო თ. სიმონ წერეთლისაგან!.. „ქაცის სიწამხდრეო“ ჩვენში რომ იტყვიან ეგ არის, ამისთანა საქციელი... მივიდა კენჭის ჩასაგდებად ქუთ. მაზრ. წინამძღ. ალ. ნ—ძე...

„— უჰ, რა ქნა, ამ შეჩვენებულმა, რას შერება ეს წყეულიო!“ ბაისმა დარბაზში მოწაღმართეთაგან, როდესაც დაინახეს, რომ შავში ჩააგდო. დიდი თუ პატარა, ყველა ააღელვა ამ კაცის საქციელმან: თვითონ მხურვალე მონაწილეობას იღებდა თ. სვ. წერეთლის გამოწვევაში, ამდენ ხანს თვითონ ცდილობდა მისთვის, კენჭის ჩაგდებაზე კი უმტყუენა არა თუ მარტო, არამედ, როგორც იქვე გამოჩნდა, 30 თავის ყურ-მოჭრილ ყმებითურთ, რომელსაც უხვად დაურიგა ქუდურხანუმის სალაროდამ ნ—ს სასარგებლოდ დასარიგებლად მიღებული თეთრი (ფასი თეთრი კენჭისა)...

რასაკვირველია ამისთანა იუდასებრივის ღალატთან სხვა წვრილმანი ღალატებიც აღმოჩნდა... ქენჭობიის ჭაბრაკი უკულმა დატრიალდა და რაც მოუგუდმართეთა კერპს ნ. წ—ს ერგებოდა (თუ მეტი არა), ის მოუვიდა მოწაღმართე დასის კანდიდატს: 104 შავი და 76 თეთრი...

„ვაი რა კარგი სჩანო რა ავად მიგიჩნიეს „მოკრთამეებმა კეთილი ბოროტსა არ გარჩიეს!..“

იაევ ამოარჩეულს ძველს მარშალს, როგორც ჩვეულებად არის მიღებული, მადლობა არ გადაუხდია მისს ამომრჩეველთათვის. ან, მართლაც რომ ვსთქვათ, რად უნდა ეთქვა მადლობა: მე შენ გეტყვი და მუქთად ამოირჩიეს!..

ქენჭის-ყრა რომ გათავდა, რამდენიმე მოუგუდმართემ სცადა ბრავოს დაძახება, მაგრამ მალე ჩააჩუმეს. მაგიერად ხანგრძლივი სარკასტიული „ბრავო“ დასძახეს ალ. ნ—ძეს, რომელსაც კიბეზე ჩასვლის დროს ხალხმა სტვენით და კიჟინით მიეგება.

— „იუდა“, „придатель!“ ისმოდა მისი ღალატის გამო გააფთრებულ საზოგადოებისაგან.

— „ბატონო, რას მერჩით“ წამოიყოყლა ეაჟბატონმა, რომელმაც ფიზიკურს ძალას შეუშინდა, თორემ ზნეობითი დასჯა მაგისთვის შეუძლებელია, რადგანც ის ვერ დაისჯება, რაც არ არის!..

უცადეს ნ. წ—ს გამობრძანებას, რომ იმასაც „კატის კონცერტით“ მიეგებებოდნენ; მაგრამ მისი ბრწყინვალება გრძნობდა, რომ ბევრს დამარცხებაზე უფრო უარესია მისი გამარჯვება და არ გამოდიოდა. ბრშემო კამერ-ლაქიები იარაღით უდგნენ...

— „ბამობრძანდი თუ კი გამარჯვებული ხარ! ბამობრძანდი, თუ ქრთამით არ გაგიტანი!“ ბრიალებს ხალხი...

ნ. მუადღევის 3-დამ საღამოს $5^1/_2$ საათამდე ამ ყოფაში იყვნენ. ბოლოს საზოგადოება ნელ-ნელა ქუჩებში დაიფანტა. ამით ისარგებლა ბ. ნ. წ—მა, ჩაეარდა ფაეტონში და გასწია, მაგრამ იმისთანა კიჟინი მაინც დააყარეს სამეფო სახლიდამ დაწყებული მის სადგომამდე, რომ ბარე სამს კენჭის-ყრაში კიდევ ეყოფა!..

(გაგრძელება)

P. S. თუ რა გვარს ხერხებს ხმარობდა გამარჯვებული და დღეს არჩეული კაცი რომ დაეშინებინა თავის მოწინააღმდეგენი, შემდეგიდამ შეიტყობთ: ქუთაისში მოფენილია ხმა, რომ ერთი მომრიგებელი შუამავალთაგანი შორაპნის მაზრისა, რომელიც სხვასავით არ ცეკვავდა ქუდურების დიმპლიპიტოზე, დათხოვნილ იქნება თანამდებობიდამ და მის ადგილ სიძონიკ—ელი (ნ—ს „მოყმე“) დაინიშნებაო. თუ ამ ნაირად აშინებენ მომრიგ. შუამავლებს, რომელთ თანამდებობა შედარებით სხვებზე უფრო დამოუკიდებელია, თქვენ წარმოიდგინეთ როგორ უნდა ექცეოდნენ რომელიმე ცხენოსან-ჯარის კაცებს?

მაგრამ ამაზე უფრო დალაგებით სხუმის მოვილაპარაკებთ...

ადგილი

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ ადრინდელი სამხედრო მინისტრი გრაფი მილიუტინი ხელ-ახლად მოწვეული იქნება სამხედრო მინისტრის თანამდებობაზედაო.

* * *

როგორც ამბობენ, სენატორს ბერს, რომელიც ჩვენი ცხრის სასამართლოების რევიზიისათვის იგზავნება პეტერბურღიდამ, ამ რევიზიას გარდა, მინდობილი ექნებაო კიდევ, რომ მიიღოს მონაწილეობა იმ კომისიის შრომაში, რომელიც კავკასიის გამგეობის რეფორმების პროექტის შესადგენად არის დანიშნული ტფილისში ღენ. სტაროსელსკის თავმჯდომარეობითა.

* * *

ქასპიის იქითა მხრიდამ გვატყობინებენ, რომ გაელილ მაისის დამლევს ასხაბადში მისულა ორი ხანი მერვისა, რომელთაც იქაურ ჩვენს მთავრობასთან მოლაპარაკება ჰქონიათ რუეთსა და მერვეს შორის ვაჭრობის გამართვაზედ. ქასპიის იქითა მხრის უფროსს ღენ. რერბერგს უჩუქებია ამ ხანებისათვის ძვირფასი ხალათები და კმაყოფილი გაუსტუმრებია.

„ტ. ოებ.“ კორრესპონდენციები

ოზურგეთი, 22 მაისს. ლიხაურის საზოგადოებაში ამას წინეთ იყო დანიშნული მცხოვრებთა კრება აღმოსარჩევად სოფლის მოხელე პირ[illegible] ბისა. საზოგადოება, [illegible] ზეცარი მანანას, ისე ძნურვალედ მოელ[illegible] და ამ შემთხვევას, მისთვის რომ [illegible] დაეყენებიათ თანამდებობიდგან ძ[illegible] მამასახლისი ალექსანდე ბორდელ[illegible] რადვანაც ეს კაცი საზოგადოებისა[illegible] ვის მავნე მიაჩნდათ.

მაგრამ ეს ხალხის იმედი სრულ[illegible] ბით გაცუდდა. მობრძანდნენ კრ[illegible] მოთადარიგეთ თანაშემწე მაზრის [illegible] როსისა, იუნოშა, და პრისტავი ბ[illegible] გიტაძე, რომელნიც ყრილობის გა[illegible] ნამდე მოემადრიელებია ბ. ლიხაურ[illegible] მამასახლისს. ამათ გამოუცხადეს ყ[illegible] ლობას, რომ გამოსცვალონ ყველ[illegible] სოფლის მოსამსახურენი, გარდა მ[illegible] სახლის ბორდელაძისა. რომელ[illegible] ვითომც ღირსეული კაცია და რ[illegible] გან ისინი სცნობენ მას სასარგებ[illegible] კაცად. როდესაც ეს აზრი გაიგეს კ[illegible] ბაში მონაწილეებმა, ერთის ხმით მ[illegible] ცვიდნენ განუცხადეს პოლიციის წ[illegible] მომადგენელთ: „ბატონებო, გთხ[illegible] ხალხი დააწყნაროთ და ორიოდე [illegible] ყვის მოხსენების ნება გვიბოძო[illegible] ხალხის დაწყნარებას შემდეგ გაგ[illegible] ნენ სა[illegible] თუ ოთხიოდ კაცები [illegible] განაცხადეს:

„— უძორჩილესად გთხოვთ მრ[illegible] ლი ყრილობა, რადგან ჩვენ მ[illegible] ნიჭა დიდი ხანია უზენაესმა მართ[illegible] ლობამ უფლება სოფლის მოსამ[illegible] რე პირების ალმორჩევისა, ეს უფ[illegible] ბა ჩვენ არ წაგვერთვოს და თ[illegible] არ ძიითვისოთო; ეა კაცი ძამასახ[illegible] სად არ ვარგა, საზარალოა იმისი [illegible] მასახლისობა ლიხაურის საზოგად[illegible] ბისათვისო.“

მაგრამ იმისთანა თქვენს მტ[illegible] როგორ უკულმა დაუტრიალეს ბე[illegible] წერის ჩარხი ამ საწყალ თავ-კაც[illegible] რომელთაც ეს სიტყვები წარმოსთ[illegible] პოლიციელები მკლავის სიმსხო [illegible] რახლებით, როგორც აბობენ, და[illegible] რიალდნენ კრებაში და დაფან[illegible] ხალხი:

„— ეი თქვენ ავაზაკებო, მე თ[illegible] ყველას ჩაგალპობთ ციხეში და [illegible] ენოთ დავნიშნავთ ძამასახ[illegible] ალექსანდრე ბორდელაძეს.“ ბლ[illegible] თავ ზარი დაეცა და „განიფანტ[illegible] დის შიშით. შემდეგ მოუყარეს [illegible] გამკრთალ ხალხსა და გამოარჩ[illegible] ყველა პირები, გარდა ძამასახლ[illegible] ამისთვის შეაყენეს პროტოკოლი.

მამასახლისის გარდაყენების შ[illegible] განაცხადეს იუნოშა და ბოგიტ[illegible] თან, რომ გუბერნატორთან [illegible] იჩივლონ, დასარწმუნებლად იმ[illegible] რომ მამასახლისების ალმორჩევის [illegible] ლება თუ წაერთვა ხალხს და [illegible] პოლიციელების ჩინოვნიკებს, და [illegible] დის მოხდა ეს განკარგულება.

უბილობა დაიხურა, ხალხი წ[illegible] თავ-თავის სახლში. მეორე დღ[illegible] გაჩნდნენ ოზურგეთის სასამართ[illegible] ში საზოგადოების ვექილები, რომ[illegible] თაც ითხოვეს პირი ამ პროტოკ[illegible] სა, ჩახედეს შიგ და ნახეს, რომ [illegible] ალექსანდრე ბორდელაძე გაუჯგ[illegible] სიაში ახალ ალმორჩეულად. მემრ[illegible]

ქალებს გარდაუდგენენ წინ და მოუსპეს ოველი ლონის-ძიება არზის დაწერისა ბუზურგეთში და შეეჰპირდენ პატიოსანი სიტყვა-თ, რომ გარდააყენებენ ეთუოთ. აქ ალთქმით, მოგეხსენებათ, ბალხის ღელვას იჭერენ, რომ როგორმე ეადის გასვლამდინ არ იჩივლონ, თორემ მემრე ეს პატიოსანი სიტყვა ეგებ კიდეც შეიცვალოს მსხვილის მათრახებათ, ვინ იცის.

ამისთანა კანონის, და სინიდისის წინააღმდეგი საქმეები არა-ერთხელ ჩუდენიათ ამ ჩვენს ბატონებს, ამისთვის არც გასაკვირველია, რომ ხალხი უკმაყოფილოა ახლანდელს თავის ადმინისტრაციაზედ. ამისთანა მოქმედებებით ხალხს ეკარგება ნდობა.

ამ მიზეზელაძის გარდასაყენებლად ოველ დღე ხუთი-ექვსი სოფლის ვექილები ბუზურგეთში დილიდგან საღამომდე დადიან, მთელი ლიხაურის საზოგადოება გულ-აეარდნილია ოჯახზედ და გაიძახიან: „არც ყანა, არც ბალჩა არ გვინდა, მანამ ალექსანდრე მიზეზელაძეს არ გამოვაძუძულებთ ადგილიდამაო.“

ს. ბ.

ქვირილა, 12 ივნისს. აქ წინა დღეებში ქ. ქუთაისში თავადს სიმონ წერეთელს გაუმართა სადილი საზოგადოებამ და იმ მოკენჭეთა, რომელთაც ჰყავდათ იგი გაძორჩეული გუბერნიის მარშლის კანდიდატათ. რადგან ოველა მაზრის მცხოვრებლებს არ შეეძლოთ ამ სადილზე დასწრება, ამის გაძო გამოჩნდა რამდენიმე პირი, რომელთაც ცალკე ისურვეს სადილის გამართვა შორაპანში. ამათ მიემხრენ ბევრნი პირნი და ეს არის დღეს ორივ შეკრებილნი და დროებას ატარებენ ერთად ამ კანდიდატთან.

სადილზე მიპატიჟებულია ჩვენი მაზრის უფროსი ბ. ეფიმოვსკი, ძომიზეგებელი მოსამართლე და მისი თანაშემწე და სხვა მრავალი გარეშე პირებიც. ამისთანა სადილებზედ ყურადღება უნდა მიაქციოს კაცმა გამოთქმულს სიტყვებს, შეკრებილების აზრს და მათ მიმართულებას, და ამიტომაც მე მსურს გარდმოგცეთ ის სიტყვები და აზრები, რომელიც აქ გამოითქვა:

პირველად ადღეგრძელეს თ. სიმონ წერეთელი, რომელიც შორაპნის მაზრის თავის შეკრებილებაზედ მაზრის მარშლობის კენჭის-ყრაზედ გაათეთრა. ამ ადღეგრძელობის დროს ერთმა სოფლის აზნაურიშვილმა ბ. ალექსანდრე ალეკვარდიმემ წარმოსთქვა რამდენიმე სიტყვა დაახლოებით შემდეგის შინაარსისა:

„ბატონებო! ნება მომეცით ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ჩვენს საყვარელ სტუმარზე თ. სიმონ წერეთელზე. მე პირადათ დღემდის ვერ ვიცნობდი მას, მაგრამ ნამდვილათ ვიცი შეტყობილი მაგისი სასარგებლო, კეთილი და პირ-უთნელი სამსახური, სადაც მსახურებს. აგრეთვე ვიცი შეტყობილი ის ოველასთვის საცნაურო და საპატივცემულო სიყვარულობითი განწყობილება იმ ხალხისა, რომელსაც ეგ ემსახურება, როგორც მომრიგებელ მოსამართლე. აქედან მე გაბედულათ შემიძლია ვსთქვა, რომ თუ ღმერთს ენებებია მაგისი ჩვენ მხარეს კენ დანიშნა თანამდებობაზედ, იმავე სიყვარულს დაიმსახურებდა საზოგადოების მხრით.

„ჩვენ კარგათ ვიცნობდით ნეტარხსენებულს ამის მამას, რომელიც კარგა ხანს ემსახურა ჩვენს საზოგადოებას გუბერნიის მარშლათ, რომელმაც მაშინ დაიმსახურა დიდი სიყვარული და პატივის-ცემა საზოგადოების მხრით. როდესაც, მოხუცებულობისაგამო, მან დასტოვა გუბერნიის მარშლობის თანამდებობის აღსრულება, გულ-დაწყვეტილმა საზოგადოებას უთხრა თავის შვილზედ ბ. ს. წერეთელზედ ბევრი სასიამოვნო სიტყვა და დაჰპირდა მათ, რომ იგი ანდერძათ დაუბარებს მას, როდესაც დრო იქნეს, ემსახუროს ჩვენ ხალხს სიმართლით, ერთგულად და თავ-განწირულად.

„ოველა ამ გარემოებიდამ მე გაბედვით შემიძლია ვსთქვა, რომ თუ ღმერთს ენებებია მაგისი არჩევა ვუბერნიის მარშლად, ჩვენს ყურადღებას დაიმსახურებდა და მამის ანდერძის სიტყვებისამებრ ერთგულად ემსახურებოდა.

„მაგრამ, სამწუხაროდ, მართებლობისაგან კეთილის მხრით დაწესებული სხვა-და-სხვა კანონები და წესები, დადგენილნი მარშლების არჩევისათვის, იხმარებიან ბოროტად და ამ წესებს არღვევენ ქრთამობა, მოყვრობა, მეგობრობა და სხვა ცუდი მოქმედებანი. ნამეტანი ნაწილი ხალხისა, მოკლებული მარშლის არჩევის ხმასა, ვერ ირჩევს იმისთანა პირებს, რომელნიც ხალხის ყურადღებას იმსახურებდნენ. მითქმის ნიადაგ ხდება ის საზარელი მოქმედება, რომ მრთელი გუბერნიის მცხოვრებ თავად-აზნაურობას ენიშნება წინამძღოლელად ისეთი პირი, რომელსაც ირჩევს და რომელსაც სურს ასს ანუ მცირეს მეკენჭეთა და არა მრთელი საზოგადოებას. ეს მოქმედება აშკარად დამტკიცდა ამ უკანასკნელ თავად-აზნაურობის შეკრებილებაზე.

„ღმერთსა ვსთხოვ, ეს წესები შეცვლილიყოს შემდეგში მაინც. ამასთან ვისურვებ ბ. სიმონ წერეთლის დღეგრძელობას, რომ საზოგადოების წადილი შემდეგში მაინც აღსრულებულიყოს“...

სხვებმაც სთქვეს რამდენიმე მოკლე სიტყვა. ოველაზე მომეტებული ყურადღება დაიმსახურა მაზრის უმფროსის ბ. ეფიმოვსკის სიტყვამ, რომელიც იყო მიახლოებით შემდეგი:

„ბატონებო! ეს მეორეთ არის მე ოვ წრები ამ მაზრაში სადილზედ, რომელიც გამართულია ხოლმე საზოგადოებისაგან იმ პირებთათვის, რომელთაც საზოგადოების ძმური სიყვარული და პატივის-ცემა დაუმსახურებია. დღეს, ბატონებო, თქვენ შეკრებილხართ და პურს მიირთმევთ ერთად თქვენს საყვარელ და პატივ-ცემულ თ. ს. წერეთელთან. ამისთანა სადილი იყო გამართული პირველად 1869 წელს, როდესაც ისტუმრებდით ამ მაზრიდამ ბ. სლირკოს, მომრიგებელ მოსამართლეს, რომელმაც ისეთი პატივის-ცემა დაიმსახურა მრთელი საზოგადოებისაგან.

„იმ პირველ სადილზედ იყო ჩამოგდებული ლაპარაკი დააარსებისთვის ოთხ-კლასიანი სასწავლებლისა ამ მაზრაში, რომელშიაცა არც ერთი სკოლა თავად-აზნაურობის შვილებიო აღსაზრდელად არ ყოფილა და არ არის. მაშინ თითქმის შესდგა ხელის-მოწერაც ფულის შეწირულებაზედ ამ სკოლის დააარსებისათვის, რომელიც ჩაბარდა მაშინდელს მაზრის მარშალს ბ. ელიზბარ მაჭავარიანს. შემდეგ იმისა მას ამ საქმეზე არაფერი არა უთქვამს-რა; ის მოკვდა და ეს ხელის-მოწერაც საფლავში ჩაიტანა. დღეს მე ვსარგებლობ ამ შემთხვევით და გთხოვთ ოველას, განვაახლოთ ის აზრი, გამოთქმული მაშინ ჩემგან და ამ თქვენი დღესასწაულობის მოსაგონებელად გაუსკენათ საფუძველი იმ კეთილ აზრს, რომელიც მრთელი ამ მაზრის მცხოვრებლების მიუცილებელი საჭიროებას შეადგენს; დავსდვათ ხელ-წერილი შეკრებისათვის საზოგადოების მხრით ფულისა დასაარსებლად ოთხ-კლასიანი სასწავლებლისა, რომელშიაც თავად-აზნაურობას შეეძლოს თავის შვილების გამოზრდა.

„თუმცა მრთელი მაზრა არ არის დღეს აქ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ მთელი თავად-აზნაურობა ჩვენი სრული თანა-მგრძნობელი იქნება ამ საქმისა.

„ვისურვებ, ბატონებო, რომ ეს აზრი ოველგან გავრცელებულიყოს ამ მაზრაში და სასურველი ნაყოფი მოეტანოს“.

ეს აზრი ბ. მაზრის უფროსისა დიდის თანაგრძნობით მიიღო ოველამ.

ამ სიტყვის შემდეგ მღვდელმა დ. დამბაშიძემ, რომელიც აგრეთვე იყო მიპატიჟებელი ამ სადილზე, უთხრა საზოგადოებას შემდეგი სიტყვები:

„ბატონებთ! სასწავლებლების გახსნაზე და საზოგადოდ სწავლა-განათლების საქმეზე ბევრგან იყო აღძრული კითხვები სხვა-და-სხვა ქუთაისის და ტფილისის გუბერნიის მაზრებში. მთელი საზოგადოება დიდის სიამოვნებით ისმენდა ამისთანა სასარგებლო საქმეზედ ამბებს და დიდ თანაგრძნობას უცხადებდა იმ პირთ, ვინც ამისთანა საგნებზედ კითხვებს აღძრავდა ხოლმე. ის პირები იყვნენ ჩვენი თანა-მოძმენი, ქართველები რომელნიც თითქმის ვალდებულნიც იყვნენ ამისთანა კითხვების აღძვრისა. ჩვენს მაზრაში არც მაზრის მარშლებს და არც სხვა მოსამსახურე პირთ ქართველთა ერთი ხმა არ ამოუღია ამ საჭირო საგანზედ. თუ ქართველნი თავის ძმების განათლების საქმეზე ზრუნვისათვის პატივის-ცემის გამოცხადების ღირსნი იყვნენ, მაშ ჩვენი მაზრის უმფროსი ერთი ორად პატივსაცემი მოცხადების ღირსი არის.

„ბატონებო! როგორც პატარა ბავშვი, ისე ყოველი კეთილი აზრი დაიბადება პირველად, გაიზრდება და ბოლოს ნაყოფს მოიტანს. როგორც პატარა ბავშვს უნდა ძიძა და აღმზრდელი, ისე ოველა გამოთქმულს აზრს ხელის მომწყობი პირები უნდა. ჩემის აზრით, ძლიერ კარგი იქნება, რომ ეხლავე ინებებდეთ რამდენიმე პირის აღრჩევას, კამიტეტის დანიშნას ამ კეთილი აზრის სისრულეში მოსაყვანად. კარგი იქნება, შესდგეს კამიტეტი მაზრის უფროსისაგან, მაზრის მარშლისაგან, მომრიგებელ შუამდგომლებთაგან და სხვა პატიოსან პირთაგან, რომ ეს გამოთქმული აზრი დავიწყებას არ მიეცეს“.

საზოგადოებამ დიდი თანა-გრძნობა გამოუცხადა ბ. მაზრის უმფროსს და ამ გამოთქმულს სიტყვას. იქვე შესდგა ხელ-წერილი ფულის შეწირვაზე, 600 მანეთამდე შეიკრიბა.

ბოლოს ბ. თ. სიმონ წერეთელმა მადლობა გამოუცხადა ოველა პირებს, სადილზე დამსწრეთა და მრთელს საზოგადებას ამისთანა პატივის-ცემისათვის.

N. N.

კიდევ ვითომ-ლიბერალს

ვსწუხვარ, ჭეშმარიტად, ბ. ივ. მესხს კალამი ხელში აუღია და მოხმარება კი ვერ შესძლებია. უშვერი სიტყვებიდავა ჰგონია, გინება-ბაასად მიანჩნია. „ბიბრუდვა“, „ბიბრუდვა“ და სხვა ამ გვარი სადაო საშვალება მხოლოდ ბ. ივ. მესხს მიეტევება.

ჩემს მოპირდაპირეს ისიც ვერ გაურჩევია, თუ რა განსხვავებაა თავის გამართლებასა და ჭეშმარიტების აღდგენას შუა. რით ვერ გაუგია, რომ ჩემი პასუხი ჭეშმარიტების აღდგენა იყო და არა თავის გამართლება. დარწმუნდნენ ბბ. ივ. მესხი და იმისნი ამ შემთხვევაში თანამოაზრენი, რომ ისინი იმ დროს თავის დღეში ვერ მოესწრებიან, რომ მე მათ წინაშე თავის გამართლება დამჭირდეს.

ბ. ივ. მესხი ისეთ ტვირთს ჰკიდებს ხელს, რომლის აწევა, ბოდიშს ვითხოვ, იმას კი არ ძალ-უძს: ჩემს სიტყვებში უთანხმოებას ეძებს. ქრებას მოვახსენებ: „ჯერ კომიტეტს არც კი წარმოუდგენია ცნობა, ჩვენი შვილები იზრდებიან იქ (უფასო სკოლაში) თუ არა.“ თუ გსურთ გაგება, აი ეს რას ნიშნავს: ჩვენ ვართ სოფლის მცხოვრები. თუ რამ ლონის-ძიება გვექნებ., ისევ სოფელს მოვახმაროთ, რადგან სოფლის ხალხი სწავლა-განათლების სახსარს უფრო მოკლებულია, ვიდრე ქალაქისა. აეიღოთ, მაგალითად, ორი ღარიბი ოჯახი, ერთი სოფლისა და მეორე ქალაქისა; მიბრძანეთ, რომლისთვის უფრო ადვილია შვილების აღზრდა და რომლის დახმარება უფრო კანონიერი და რიგიანი იქნება?

კომიტეტს ვუსაყვედურე, თუ დახმარება შეგვიკვეთე, ცნობებიც უნდ

წარმოგვედგინა-მეთქი. ახლა კიდე უფრო გარკვევით მოგახსენებთ, რომ მე წინააღმდეგი ვარ სოფლის საზოგადოების საშუალებით მოქალაქეებს მოხმარდეს. სოფელი უიმისოთაც დაცემულია. განა სოფლები ცოტა სახსარს აძლევენ ქალაქს? ვწუხვარ, რომ ბ. Ив. მესხს, არ შეუტყვია, თუ რამდენ ხარჯს აძლევს ქალაქი სოფლის საზოგადოებას. რაღაც ორი გროში დაგვრჩენია, ისიც ქალაქს მივახმაროთ? უბრალო და ღატაკ ქალაქს მიკიტანს უფრო ადვილად შეუძლია შვილი გაზარდოს, ვიდრე ღარიბ სოფლის მცხოვრებს, აზნაური იყოს, თუნდ გლეხი.

ბ. Ив. მესხს ჰგონებია, რომ წინააღმდეგი ვარ მოქალაქეების დახმარების იმისთვის, რომ ისინი თავად-აზნაურნი არ არიან! მიკვირს... მაგრამ ბ. Ив. მესხისაგან რა გასაკვირია?!

ჩემა მეორე სიტყვაში მოგების განაწილების თაობაზე მე წინანდელი აზრი უფრო ვრცლად განვმარტე. ბ. Ив. მესხმა კი, აღძრულმა ცრუ-ლიბერალურის გრძნობითა, ეს თავის გამართლებათ ჩამოართვა; თავის თავს უსაყვედუროს,—იმან ვერ გაიგოს, მე რაო? ძალა დავატანეთო, გვაუწყებს ბ. Ив. მესხი: ნეტა ვიცოდე—რომელი ძალა გონებითი თუ ფიზიკური?.. მახლას! სიბერემდი სიქაჩლეს მოელოდეო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი.

რაიცა შეეხება სხვა ადგილებს ბ. მესხის წერილისას, საკმაოდ იყო ახსნილი ჩემს პირველ პასუხში და განმეორება არ არის საჭირო.

გლ. მიქელაძე.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგანავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

განცხადებანი

ბოზარჯიანცის თამბაქოს მაღაზიისაგან.

რადგან ზოგიერთებმა დაიწყეს ჩემის ფირმის თამბაქოს მსგავსი ყალბის ყუთებით ყიდვა თამბაქოისა, ამის გამო პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებას ვთხოვო, რომ ჩემი ფირმის თამბაქოს ყიდვის დროს ყურადღება მიაქციონ საკუთარს სახელსა და გვარს, რომელიც ყოველ პაჩკაზედ და ყუთზედ არის დაწერილი სხვილის ასოებით რუსულად, სომხურად, ქართულად და თათრულად.

ამასთანავე დავსძინებთ, რომ როგორც ადრე ისე ახლაც თამბაქოს მწეველ საზოგადოებისათვის ჩვენ მოგვდის უპირველესი ხარისხის თამბაქო ოსმალოს საუკეთესო პლანტაციებიდამ, როგორც მაგალითად: ქეიბეკი ეპაჯედამ, სამსონი და სხვ. და აგრეთვე კავკასიის საუკეთესო თამბაქოებიც.

(2—2) ბოზარჯიანცი.

მაღაზია
სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქავე ისყიდება უოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ.

(12—3)

ახალი ქართული
კარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი უდიანის ერთი მანეთი.

(3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება ძმ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის საერთო მფლობელობაზე

თხზულება ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება ძმ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

თამარ დედოფალი

შედგენილი კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

ტფილისის
კანტორა

რუსეთის მზღვეველ და ბარგის მზიდავ საზოგადოებისა (страхованія и транспортированія) გადავიდა სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯოვის სახლებში. (2—2)

ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლადგამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

მერვე კლასის გიმნაზიელი აძლევს გაკვეთილებს, ადრესი „დროების“ რედაქციაში (6—5)

დაიბეჭდა და ისყიდებ,

ქურდი
ყარამნის შვილი

მოთხრობა, მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხ- ვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკა- ნასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო ძიბალოვ- თან.

ტაქსის

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელ- იყიდებიან თფილისის ბაზრებში, [illegible] ნებში და დატარებით 16 ივნისი[illegible] 1 ივლისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვი[illegible]

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5[illegible]
მეორის „	—1 გირ.	3[illegible]
მესამის „	—1 გირ.	
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხ[illegible]		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	
მეორის „	—1 გირ.	4[illegible]
ჯვარის-მამის პური:		
პირველ ხარის. ლავაში	1 გირ.	6[illegible]
მეორის „ „	—1 გირ.	5[illegible]
მესამის „ „	—1 გირ.	
ძროხის ხორცი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	10
მეორის „	—1 გირ.	8
სუკი — —	—1 გირ.	15
ცხვრის ხორცი	—1 გირ.	9
ღორის ხორცი:		
პირველი ხარისხის	—1 გირ.	—
მეორის „	—1 გირ.	—

ფაბრიკა

ძმათა ბუხთა ვარშავაში

Братья Бухъ въ Варшавѣ

ფურცლებისა, მავთულებისა და სხვა-და-სხვა ხელოვნებისა.

ახალი ვერცხლისა (მელქიორისა, ალფენიდისა) მივაქცევ თქვენს ყუ- რადღებას ფურცლებზე, მავთულებზე და სუფრის მოწყობილობაზე (ბრი- ბორზე): კოვზებზე, ჩანგლებზე, დანებზე, სუფრის და ჩაის დესერტის ხონ- ჩებზე (ბლუდებზე), სამოვრებზე, პოდნოსებზე, ჩაინიკებზე, ყავადნებზე, სა[illegible]- ნის დასადგმელებზე, სუდოკებზე, კალათებზე და სხვა **შინაურს და საეკ- ლესიო საგნებზე:** კანკელებზე ბარძიმ-ფეშხუმზე, სასეცხლურზე, შანდლებ- ზე, და სხვათა საეკლესიო ნივთებზედ.

გარდა ამიებისა არის კიდევ სხვა სახლის **მშვენიერი მოწყობილობანი:** ლიუსტრები, ხილის და შამფანსკისათვის ვაზები, ეტაჟერკები, სარკეები, სუ- რები, ბაკალები, სანიცრეები და სხვ.

ეს ფირმა არსებობს 1809 წლიდამ და განთქმულია თავის მტკიცე და რიგიანის ხელოვნებით. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ შემდეგ განყო- ფილებებში:

1) პეტერბურღში, ნევის ქუჩაზედ № 26 ყაზანის სობოროს პირ-და- პირ,
2) მოსკოვში, ნიკოლსკის ქუჩაზე, შერემეტიევის სახლებში,
3) მოსკოვის გამოფენაზე მე-VI განყოფილებაში,
4) ნიჟნი ნოვგოროდის ოქრომჭედლების რიგში, № 30.

პრეის-კურანტი და ფურცლების ნიმუშები მუქთად მსურველთ გაეგზავ- ნებათ.

ფაბრიკა ეძებს აგენტებს რეკომენდაციით. (12—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Іюня 1882 г. *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი